№ 99 მაისი 12, კვირა — 1891 — მაისი 12, კვირა № 99

გაზეთის ფასი

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყველა განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართოთ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, ი. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივ სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი 1877—1891

გაზეთი „ივერია" პირველ მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 7 მანათი და 25 კაპ.

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც სურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

კვირას 12 მაისს

## მუშტაიდის ბაღში

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გამართული იქმნება

სახალხო სეირნობა

## ლოტარია-ალეგრითა

დაწვრილებით გამოცხადებული იქმნება აფიშებში.

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ ბბ ნ დამფუძნებელის წევრებისა და მესესხებლების საზოგადო კრებას, 14 მაისისთვის დანიშნულს, წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად, გარდა უკვე გამოცხადებულ მოხსენებათა სხვა მოხსენებაც ბანკის სესხის გაიაფებისა და სესხის მიცემის წესის შეცვლის შესახებ მსესხებელთა სახეირხოდ და სასარგებლოდ.

ტფილისი, 11 მაისი.

კარგად ვიცით, რომ სოფლის წურბელა გლეხ-კაცის გაჭირებითა სცხოვრობს, იმისი ლხინი მაშინ არის, როცა სხვას ჭირი ადგას და ამ ჭირის სამკურნალოდ იმას მიჰმართავენ ხოლმე. სოფელში ეხლა ბატონი ის არის, ვინც ორიოდე გროშს ნაღდს ფულს მიიტანს და ამ იარაღს ისე ხერხიანად ჰხმარობს, რომ ერთი ათად და ერთი ასად აქცევს. თვალ-წინ ბევრი მაგალითი გვიდგა, რომ მიწათ-მოქმედს მხარში ამოსდგომია სოფლად არა-მიწათ-მოქმედი, ხოლო ორიოდე გროშის პატრონი ბოგანო, მიძრული, მოძრული და ორიოდ-სამიოდე წლის შემდეგ ისე გამძლავრებულა, ისე გაძლიერებულა, რომ თითქმის ნახევარი სოფელი თავად დაუსაკუთრებია და მეორე ნახევარი კიდევ სესხით დაუმონებია.

ამ წურბელების კეთილ-დღეობაც კარგად ამტკიცებს, რა ძლიერ უჭირს გლეხ-კაცს ფული ხელის მოსანაცვლებლად, ხშირად როგორ წაუჭერს ხოლმე ხელს გაჭირება და არ ასუნთქებინებს, მანამ არ აიცილებს თავიდგან ასე თუ ისე ამ ვარამს. გაჭირების ამშორებელი, რასაკვირველია, ის ორიოდე გროშია, რომელიც წურბელას ისეთის უნარით გაუიარაღებია და რომელიც გლეხ-კაცს ყოველთვის არ მოეპოვება, რომ ცხოვრების ათასს უბედურებას გვერდი აუქციოს, არც სახელმწიფო ხარჯ-გადასახადს გაექცეს და არც ერთის, ან ორის წლის ზარალი შეიმჩნიოს რამე. მეტი ღონე არა აქვს, ყოველ ამისთანა გაჭირების დროს წურბელას უნდა მიადგეს, ეხვეწოს, ეღრიჯოს, ემუდაროს და მამა-სისხლად მოინაცვლოს ხელი.

რაღა თქმა უნდა, წურბელა არა სთვლემს ამ დროს და ნასესხის ერთი ორად გადახდის პირობას ართმევს. მაშინ, როცა ძლიერს სახელმწიფოს 4 და 5% გადახდა ეძნელება და სცდილობს როგორმე უფრო გაიიაფოს სესხად აღებული ფული, 3% იხადოს, მანათზედ სამი კაპიკი წელიწადში, ღარიბი, უძლური, მხოლოდ ერთის დაგლეჯილი ჩოხის პატრონი გლეხ კაცი იძულებულია თუმანზედ ათი შაური აძლიოს, ხშირად მანათიც წურბელას თთვეში, წელიწადში — ექვსიდგან თორმეტ მანათამდე. შედარებით რომ ვსთქვათ, გლეხ კაცი წელიწადში ერთის მანათისათვის იხდის ექვს აბაზს სარგებლს, სახელმწიფო-კი 3 კაპიკს

ამ ანგარიშიდგან აშკარადა სჩანს, რომ ძლიერს სახელმწიფოს ერთი ორმოცად უფრო იაფად უჯდება ფულის სესხად აღება, ვიდრე ბოგანო და უმოწყალო გლეხსა. ამას შემდეგ საკვირველიც არ არის, თუ გლეხ-კაცი ასეთს უღმერთო სარგებელს ვერ უძლებს და ხშირად თან გადაჰყვება ხოლმე, უელამდე ვალში ირჩობა და წურბელას მონა და ყმა ჰხდება. მართალია, კანონი სასტიკად ჰსჯის ამისთანა უღმერთო სარგებლის ამღებს, მაგრამ კანონებში გამოცდილი და გამოქნილი წურბელები ადვილად იცილებენ თავიდგან მართლ-მსაჯულების რისხვას და ისეთს პირობას აწერინებენ გაჭირების გამო ყველაზედ მზად მყოფს გლეხ-კაცს, როგორიც უფრო უზრუნველადა ჰყოფს იმის ადამიანის არ-შესაბრალისს აღებ-მიცემობას. მაგალითებრ, ხუთს თუმანს აძლევენ კარზედ მიმდგარს გაჭირებულს გლეხ კაცს და ქაღალდში აწერინებენ, რომ ოცი თუმანი მივიღია ჩემგან ნაღდადაო, და სხვ

რასაკვირველია, ასეთს უბადრუკს მდგომარეობას სოფლის მკვიდრისას სახელმწიფო უნდა მიეშველოს და წამალი რამ დასდოს ამ სატკივარს. ქვეყანა ვალდებულია, მიწათ-მოქმედს გლეხ-კაცობას, ამ საძირკველს ისეთის სახელმწიფოსას, როგორიც მაგალითებრ, რუსეთია, დახმარება აღმოუჩინოს, სესხი, ეს ძლიერი საეკონომიო ძალა, გაუიაფოს და ამით ცხოვრებაც გაუადვილოს. ამ ზემოხსენებულ სატკივრის ერთ ამისთანა წამლად მიგვაჩნია ის ამბავი, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა სამხრეთ-რუსეთის ზოგიერთს ერობას ნება დართო საცდელად დააარსეთ სასოფლო ბანკებიო. თანხა ამ ბანკისა ვის იქიდგან უნდა შესდგეს, რომ თვით ერობამ უნდა შეიტანოს ერთბაშად სამასი თუმანი უსარგებლოდ, იმ პირობით, რომ ყოველ სესხის გამტანს მხოლოდ 4% ახდევინოს, მანათზედ ოთხი კაპიკი წელიწადში, თუმანზედ ორი აბაზი წელიწადშივე. ამ ბანკს საგნად ისა აქვს, რომ ხელმოკლე გლეხ-კაცს დაეხმაროს გაჭირების დროს, სახელმწიფო ხარჯ-გარდასახადისა, მოუსავლო-

## ფელეტონი

### ჩვენი დედაკაცები
და
### ახალი დრო

(იხ. „ივერია" № 98)

II

ცხადია, რომ იმისთანა გარემოების გამო, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ, ძველებურს დედა-კაცს ადვილად დაებადებოდა და გაუძლიერდებოდა გრძნობა თავ-მოწონებისა და თავის ადამიანობის პატივისცემისა. ძველებური დედა-კაცი არ იყო და არც შესაძლოა უსახო მეტ-ხორცი რამ ყოფილიყო ძველებურის ოჯახისა, ისეთი მეტ-ხორცი, რომელიც მხოლოდ იმისთვის არის გამოსადეგი, რომ განუკითხველად, ხმა-ამოუღებლივ და უდრტვინველად შეასრულოს ყოველივე ნება-სურვილი თავის კანონიერის ქმრისა. იმ დროს ოჯახი კავშირი იყო ორის უფლებით თანაბარ და თანასწორ და თანაბრადა და თანასწორადვე მხნე და მშრომელის ადამიანისა. ამიტომ ცოლს არ შეეძლო არ ჰქონოდა ის გრძნობა, რომ სხვის ოფლით მოგებულს ლუკმა-პურს არა ვჭამ და მაშასადამე არც მოვალე ვარ, ვაძლიო რამ სასყიდელი ამ ლუკმა-პურისათვის და ქედი მოვუდრიკო ვისმეო. ქმარი-კი არ აჭმევდა მაშინ ცოლს პურსა, ან ცოლი — ქმარსა. არა, ორივენი ერთად იკვებებოდნენ, იმიტომ რომ ორივენი ერთად და თანაბრად შრომობდნენ, თუ, რასაკვირველია, აქ მხედველობაში არ ვიქონიებთ იმ ყმათა შრომას, რომელიც მაშინ მუქთი და უსასყიდლო იყო.

ასეთის მწყობრისა და შრომაში ერთმანერთს თანაშემწეობით ცხოვრების გამო ცოლ-ქმარნი დიდი პატივის-მცემელნი იყვნენ ერთმანერთისა. საბუთიცა ჰქონდათ, რომ ერთმანერთი დაეფასებინათ და ძვირფასად ჰყოლოდათ მიჩნეული მათ შორის მტკიცე და დაურღვეველი კავშირი არსებობდა, იმიტომ რომ იგი კავშირი წუთიერს გატაცებასა და სურვილზე-კი არ იყო დამყარებული, სისხლის აღელვებით-კი არ იყო გამოწვეული, არამედ იმაზე იყო დაფუძნებული, რომ საერთო საჭიროებანი ჰქონდათ, ერთად შრომობდნენ და ილვწოდნენ, ერთნაირად ხელი მიუწვდებოდათ ოჯახის საერთო კუთვნილებაზე. ამას გარდა კიდევ იგი მტკიცე კავშირი დამყარებული იყო იმაზედაც, რომ ცოლ-ქმარნი ზნეობა-გონებით ერთნაირად ნაწურთნი და თანაბრად წარმატებულნი იყვნენ; მაშასადამე უფრო კარგად ესმოდათ ერთმანერთი და ეს გარემოება ხომ უფრო მეტად უწყობდა ხელს ზემოხსენებულის კავშირის სიმტკიცესა.

რაღად უნდა გაგვიკვირდეს მაშ, თუ ამისთანა გარემოებაში, ესე იგი როცა ცოლ-ქმარნი ასეთს თანაბარს შრომა-ჯაფაში არიან, მათი ინტერესები, ფიქრი და აზრი ასე და-ძმურად შეწყობილია, ცოლ ქმართა უსიამოვნობა შედარებით ძალიან ძვირი და იშვიათი ამბავი იყო იმ ძველს დროს. ეხლა ჩვენ სასაცილოდ მიგვაჩნია და მასხარად ვიგდებთ მაშინდელს წესს ქორწინებისასა და ცოლის შერთვისას, იმ წესს, რომელიც დღესაც შიგა და შიგ ჯერ კიდევ არ გადავარდნილა. ჩვენ გვაოცებს და გვაკვირვებს, როგორ უნდა დაჰკავშირებოდნენ ერთმანერთს ისეთი ქალი და კაცი, რომელთაც არამც თუ ერთმანერთი არ მოსწონდათ და არეიათ-რი სიყვარული არა ჰქონდათ ერთმანეთისა, არამედ ხშირად თვალითდაც-კი არ ენახათ. გვაკვირვებს და გვაოცებს, როგორ იყო, რომ კაცი და ქალი საუკუნოდ უკავშირდებოდნენ ერთმანერთს ქორწინებით თავიანთ დედ-მამის ნებითა და არა საკუთარის სურვილითა. დასასრულ კიდევ როგორ იყო, რომ დედ-მამას ასეთს განუსაზღვრელს, შეუზღუდველს უფლება-ბატონობას ასე უდრტვინველად და თითქმის ხალისით ემორჩილებოდნენ ყმაწვილი ქალი და კაცი.

მართლა და საკვირველი და საოცარი ამბავია! თუმცა ასეთი უმართლო და, თუ გნებავთ, მეტად უჯერო წესი არსებობდა მაშინ, მაინც უეჭველია, რომ ძველებურს ოჯახში დიდი მშვიდობა, თანხმობა სუფევდა ცოლ-ქმარს შორის. როგორ უნდა მორიგდეს ერთმანერთში ორი ასეთი წინა-უკმო, დაპირისპირებული ამბავი და გარემოება, როგორ უნდა აეხსნათ ასეთი, პირველის შეხედვით, ძნელად მისახვედრი საქმე? თითქო ყოველივე ისე რიგდებოდა, რომ აუცილებელი უნდა ყოფილიყო უსიამოვნობა და აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა, ხოლო ბოლოს-კი გამოდის, რომ ოჯახში დიდი მშვიდობა და თანხმობა სუფევს!

წინად საქორწინო ქალი და კაცი გაიცნობდა ხოლმე ერთმანერთს ჯვარის წერამდე კი არა, ჯვარის-წერის შემდეგ. თუმცა ასე ჯვარის-წერა და საქმის დაჭერა ძალიან საშიში და საფთხილოა, მაგრამ მაინც, რაკი ცოლ-ქმარნი ერთსა და იმავე საგანს ემსახურებოდნენ, ყოველი ქვეყნიური საქმე ერთნაირად ეყურებოდათ და თან და თან ერთნაირის ინტერესებითა და გრძნობითაც განიმსჭვალებოდნენ, რაკი ერთისა და იმავე საოჯახო და საზოგადო ვითარების ზედ-მოქმედებით იყვნენ აღზრდილნიც, ძალიან მალე მიეჩვეოდნენ ხოლმე ერთმანერთს და იწყებდნენ საერთო ცხოვრებას, ორივესთვის ერთნაირად სასურველსა და ძვირფასსა. ნელ ნელა და თან და თან ეჩვევოდნენ ასე ერთად ცხოვრებას და, ჰგრძნობდნენ რა, რომ ორივეს ერთი და იგივე ზრუნვა და ინტერესები გვაქვსო, ნელ-ნელა და თან და თან მტკიცდებოდა მათ შორის კავშირი და გაგება ერთმანერთის გულის-პასუხისა. ხოლო რაკი ერთი და იგივე შრომა და ჯაფაც ადგათ და ცხადადაც ჰგრძნობდნენ ერთმანერთის საჭიროებას ოჯახის საერთო საქმეებისათვის, ამიტომ მტკიცე საფუძველი ეძლე-

ბისა, ცეცხლისაგან დაზარალებისა და სხვა ამ გვარ უბედურების ჟამს. თითო კაცს ოც-და-ათს თუმანზედ მეტის სესხად გატანა არ შეუძლიან.

განმარტება აღარ სჭირია, თუ რა დიდს სარგებლობას მოიტანს ეს სასოფლო ბანკები, თუ, რასაკვირველია, რიგიანად იქმნა წარმართული. იმას გარდა, რომ ზემოდ დასახელებულ წურბელასაგან განათავისუფლებინებს თავს, სხვათრივაც ბევრში დაეხმარება. უფულობასა და სესხის იაფად უშოვნელობაზედაც არის, სხვათა შორის, დამოკიდებული ის გარემოება, რომ სოფლის მეურნეობა შესაბრალისს მდგომარეობაშია და ვერ განვითარებულა, ზურგი ვერ გაუმაგრებია, წინ ვერ წასულა. ამიტომ სწორედ სასიამოვნო ამბად ჩასათვლელია ეს სასოფლო ბანკების დაარსების საქმე, რასაკვირველია, ვიმეორებთ, თუ სინიდისიერად იქმნა წარმართული და გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობასავით საქმის მეთაურთა და წინამძღოლთა უგულის-ყურობამა და უგულს-მოდგინეობამ ბოლო არ მოუღო და ძირი არ გამოუთხარა. ეს პირველი ნაბიჯი სასოფლო ბანკის დაარსებისა, როგორც თვით შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვაშიაც არის ნათქვამი, ჯერ-ჯერობით ცდაა და თუ ამ ცდამ ფეხი გაიმაგრა, ინაყოფიერა და იბოგინა, მაშინ ქვეყანას მოეფინება და დიდს შეღავათს მისცემს ასე მეტის-მეტად გაჭირებულს გლეხკაცობას, დიდად ანუგეშებს და გაჭირების დროს თავისუფლად ამოსუნთქვასა და ამოქმინვას შეაძლებინებს...

მანოქელი

# ახალი ამბავი

*** მოვაგონებთ ქართველს საზოგადოებას, რომ დღეს, შუადღისას, მუშტაიდის ბაღში სეირნობა და ლატარია-ალეგრი დაიწყება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

*** დადგა გაზაფხული და გამხიარულდა ჩვენი ბაღებიც. როგორც მოგეხსენებათ, მუშტაიდის ახლოს ბევრია საქეიფო ბაღები და მათ შორის ერთი „ნიუ-იორკი-“ს სახელით შარშან დიდ-ძალს ხალხს იზიდავდა, იზიდავდა ჯერ იმიტომ, რომ ბაღი სუფთაა, ლამაზად მორთული და კარგად შენახული, წეს-რიგიც მუდამ დაცული იყო და მეორეც იმიტომ, რომ გურულ მემუსიკეთა დასი უკრავდა ამ ბაღში და ართობდა დამსწრე საზოგადოებას.

წელს გურულების დასი სხვა ბაღში გადასულან, იქვე ნიუ-იორკის პირდაპირ, და დაუტოვებიათ ძველი გზაცა და ძველი მეგობარიც, — „ნიუ-იორკი“-ს პატრონი — ი. ნიჟარაძე. არ შეშინებულა, გაუგზავნია კაცი სტამბოლს და იქიდამ მთელი დასი ბერძენ მემუსიკეთა მოუწვევია. ეს დასი უკვე ჩამოვიდა და საღამოობით ყოველ დღე უკრავს „ნიუ-იორკი“-ს ბაღში.

*** დღეს მეორე გიმნაზიაში, ნაშუადღევს პირველს საათზე, ამ სასწავლებლის მოსწავლეთ გამოსცდიან სამხედრო ვარჯიშობასა და გიმნასტიკაში.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ კიდევ მიიღო შეწირულებანი ლატარია-ალეგრისათვის:

1) თავ. მიხეილ ერისთავისაგან — 5 მან.

2) დავ. ზ. სარაჯიშვილისაგან — 10 ბოთლი ლიქიორი.

3) გვარამაძის ქალისაგან — ალბომი.

4) სულიკოვისაგან თექვსმეტი ნაჭერი სხვა-და-სხვა ნივთი, 15 მან. ღირებული.

5) ეკ. ფურცელაძისაგან სხვა-და-სხვა ნივთი, 5 მან. ღირებული.

6) კუკიის საქალაქო ქართულის სკოლისაგან — 5 ნაჭერი ხელსაქმე.

ზემოხსენებულმა საზოგადოებამ უკვე მიიღო მოსკოვიდგან ლატარია-ალეგრისთვის დანაპირები ნივთები.

*** ხაშური: ჩვენის დაბიდგან ერთის ვერსის მანძილზე ძველის ეკლესიის ნანგრევია. მხოლოდ ცალიერი კედლები-ღაა დარჩენილი და უპატრონოდ არის დატოვებული. მხოლოდ წელიწადში ერთხელ, 8 მაისს, ხალხი გაიხსენებს ხოლმე ამ ადგილს და მოიყრის თავს სადღესასწაულოდ. ამ ნანგრევს თამარის ეკლესიას უწოდებენ წელსაც, 8 მაისს. ხაშურელებმა ბლომად მოიყარეს თავი „გორათობაზე“ — ასე ეძახიან ამ დღესასწაულს.

ეკლესია დიდი არ არის, სიგრძით ოთხი საჟენი და სიგანით ორზე მეტი არ იქნება. შიგნით ტრაპეზის ადგილია და ზედ ერთი ხატია დასვენებული.

წინა-დღით, 7 მაისს, საღამოს ახლო-მახლო სოფლებიდამ შეიკრიბა — ხალხი და მეორე დღეს-კი ხაშურიდამაც ბლომად გაემგზავრნენ, მით უფრო, რომ კარგი ამინდიც იყო. დროს გატარებამ მშვიდობიანად ჩაიარა — არც ჩხუბი, არც უსიამოვნება არა ყოფილა, თუმცა ხალხი ძლიერ ბევრი იყო.

გაზაფხული გრილი დაგვიდგა, დღე-გამოშვებით წვიმა ან ქარია და მთებიდამ სიცივე მოაქვს. საზაფხულო ტანისამოსზედ ჯერ არავინ ჰფიქრობს ჩვენში და, თუ ვინმე გაჰბედა, კარგი უნდა ორი-სამი საათი გასტანოს და ისევ საზამთრო ტანისამოსს არ მიჰმართოს.

მოსავალს კარგი პირი უჩანს და ხაშურის ახლო მდებარე ადგილებში ხომ „ავს თვალს არ შეეხედება“. არ ვიცი შემდეგში რა იქნება.

*** უწმ. სინოდის სამოსწავლო საბჭოს ცირკულიარი გაუგზავნია ყველა ეპარქიის სასწავლებელთა რჩევისათვის, რომ ზოგიერთ საეკლესიო სამრევლო სკოლებში ისე სჯიან ხოლმე მოსწავლეთ, როგორი დასჯაც არ შეჰფერის მასწავლებლის ხარისხსა და არც ჰიგიენის მხრით არის მოსაწონი: მაგალითებრ, უსადილოდ დატოვება ბავშვისა, რაც ძალითა და ღონით ასუსტებს, გაკვეთილებს შუა თავის უფალ დროს გიმნასტიკის ვარჯიშობის აკრძალვა და სხ. დაჩოქება, სახაზავით ცემა ხელებზე და სხვ.

ცირკულიარი ავალებს სამოსწავლო საბჭოს, ჩააგონეთ საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთ, რომ თავისს მოწაფეებს ჯეროვანის ყურადღებითა და სიყვარულით მოექცნენ და თუ ყმაწვილების დასჯა საჭირო იქნება, მშვიდი საშუალება იხმარონ ხოლმე და არ დაამცირონ იმათი თავ-მოყვარეობა.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს, განზრახვა აქვს, პატარა დაბებში, სადაც საქალაქო დებულება არ არის შემოღებული, ამის მინაგვარ-რამ მარტივი საზოგადოებური გამგეობა დააწესოს. იმ დაბებში, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი 100-ზე ნაკლებია, ერთი კაცი გუბერნატორის მიერ უნდა იყოს დანიშნული, ხოლო დანარჩენნი (არა ნაკლებ 10 და არა უმეტესი 15-სა) იმ მოსახლეებმა უნდა აირჩიონ, რომელთაც უძრავი ქონება აქეთ, არა ნაკლებ 100 მან. ღირებული. ამ გამგეობის განაჩენი ძალაში მხოლოდ მაშინ შევა, როცა გუბერნატორის მიერ იქნება დამტკიცებული. გამგეობას თავმჯდომარედ, იმის შემოსავალ-გასავლის მოანგარიშე და სხვა საქმეების მწარმოებლად ერთი „სტაროსტა“ იქნება მოსახლეთა შორის გუბერნატორის მიერ ამორჩეული.

*** სოფ. საბერიოდამ სწერენ „ნოვ. ობოზრენიე“-ს, გაგვიმართლდა იმედები და „კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ“ არ გაგვიცრუა მოლოდინი. საბერიელებმა თავისის ხარჯით ააგეს სასკოლო შენობა — ოთხ თვალიანი სუფთა და ნათელი ხის სახლი, თავ. ზურაბ ჩხოტუას მიწაზედ. თავ. ზ. ჩხოტუამ მართალია აჩუქა ეს მიწა სკოლას, მაგრამ ეს ჩუქება დღემდე მხოლოდ სიტყვიერია. ამიტომ იმედი გვაქვს, — სწერს გაზეთის კორესპონდენტი, რომ თავ. ჩხოტუა მიწას დოკუმენტებითაც დაუმტკიცებს ამ სკოლას. სკოლის გასახსნელად 10 აპრილს ჩვენში ჩამოვიდა მამა არხიმანდრიტი ამბროსი, ინსპექტორი „ქრისტ. აღმადგ. საზოგადოების“ სკოლებისა. მშვენიერი ამინდი შეესწრო. მთელი საზოგადოება საბერიელებისა აქ იყო. სკოლის კურთხევის პარაკლისი გადაიხადა მ. ამბროსიმ ადგილობრივის მღვდლების თანადასწრებით. კურთხევას შემდეგ სკოლაში მოსიარულედ 50-მდე ყმაწვილი ჩაეწერა ვაჟი და ქალი.

*** გაზ. „კავკაზ.“-სა სწერენ, რომ 26 წარსულ აპრილისას სოფ. ბაკურციხეს, ველისციხეს, კარდანახსა და მუკუზანს დიდი სეტყვა იყო, ნათესი და ვენახი წაახდინა და 70 ათას მანათამდე აზარალა ხალხი.

*** ქაჯავიდამ სწერენ იმავ გაზეთს, ყაზბეგის ძირში, კობის სადგურის ახლოს ერთი ქვაბურია და ხალხში ცუდი ხმაა დავარდნილი, ამ ქვაბურში ავი სული ბუდობსო. ამის გამო იქ არავინ არ დადის. ამას წინად პატარა ბიჭები (ორნი) თამაშობდნენ და ამ ქვაბურშიაც შეძვრნენ; იქ ჰპოვეს ეტრატზე დაწერილი დიდი წიგნი. ეს წიგნი მღვდელს უჩვენეს, მაგრამ ვერ წაიკითხა, ასე სთქვა, სომხურია და მე სომხური არ ვიციო. შემდეგ ერთი ფურცელი ამოგლიჯეს ამ წიგნიდამ და სომხის ტერ-ტერას წაუ-

---

ეოდა მათ შორის ერთმანერთის სურვილსა და მიმზიდველობას. ბოლოს კიდევ ეს სურვილი და მიმზიდველობა, მაშინდელის სადა და არა რთულის ცხოვრების ზედ მოქმედებით, ნამდვილ და ჭეშმარიტ სიყვარულადაც გადიქცეოდა ხოლმე.

მაშინ სიყვარული ჩნდებოდა ნელ-ნელა, თვით ოჯახში, ერთად შრომისა და ერთად ცხოვრების გამო რამდენისამე ხნის განმავლობაში. ჩვენს დროში-კი საქმე თითქოს სიყვარულიდამ იწყება, ხოლო მალე თავდება მით, რომ ცოლ-ქმარს ერთმანერთისა აღარა ესმით-რა და ერთმანერთისათვის ზურგი აქვთ შექცეული. თუ ის აზრი მართალია, რომ ეხლანდელი ქორწინება საფლავია ჭეშმარიტის სიყვარულისაო, წინანდელი ქორწინება ნამდვილი სამშობლო და წყარო მისი. ერთს შემთხვევაში სიყვარული აგვირგვინებს შეუღლების საქმეს და ჯილდოსა და საჩუქარსავით მოსდევს ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივსა და ცოლ-ქმართა თანხმობით ცხოვრებას; მეორე შემთხვევაში იგივე სიყვარული მხოლოდ ქორწინების პირველს ხანს გამოაშუქებს კუდიან ვარსკვლავსავით და მერე სასწრაფოდ ჰქრება კვალწმინდად. წინად დასაწყისი ცოლ-ქმრობისა ეკლით იყო მოფენილი და მცირე მიმზიდველი ძალა ჰქონდა, ხოლო ბოლო იყო სასიამოვნო და აღსავსე სიტკბოებითა და წყნარის მშვიდობიანის სიხარულითა. მართალია, ეს სიტკბოება მაღალის ფარდების სიტკბოებას არაფრითა ჰგავნდა, და ოჯახის სიამოვნებაც წყნარი და მშვიდობიანი იყო, სწორედ ისე, როგორც წყნარი და მშვიდობიანი იყო თვით მაშინდელი ცხოვრება, მაგრამ მაინც ყოველივე ესე კერძოდ თითოეულს ოჯახს დიდსა და სრულს ბედნიერებას ანიჭებდა. ჩვენს დროში ქორწინებასა და ცოლ-შვილობას თითქო მართლა მრავალ გვარი და მკვეთრი სიტკბოება და სიხარული მოსდევს, მაგრამ გადის მცირე ხანი და თქვენს მტერს, რომ გზა ცოლ-ქმრობისა მალე ვაი-ვაგლახით ივსება. ხოლო რაკი ჰქრება პოეზია სიყვარულისა და შეუღლებულთა ერთსულობისა, ძირს რჩება მხოლოდ ერთად ცხოვრება ორის ადამიანისა, რომელთაც ერთმანერთისა თითქმის არა ესმით-რა, ერთმანერთისათვის თითქმის საჭირონი არ არიან და ამის გამო ორივენი მალე ტვირთად აწვებიან, ამძიმებენ ერთმანერთს და საქმე თავდება მით, რომ ორივეს ერთმანერთი სრულიად ეუცხოვებათ.

ვშიშობ, გამკრიახმა მკითხველმა არ იფიქროს, რომ ვითომ მე ვიცავ და ვიფარავ, ანუ ვემომხრეობ ძველებურს წესს ქორწინებისას და უკან ჩამორჩენა, რეტროგრადობა არ დამწამოს. მაგრამ იმედი მაქვს კეთილგონიერი კაცი ადვილად მიხვდება, რომ ძველი წესები, რომლის უვარგისობას აქარწყლებდა და აბათილებდა ძველის დროების სხვა, მეტად საკეთილო გარემოებანი, ეხლა, ამ ჩვენს დროს სრულიად გამოუსადეგარია. საზოგადოდ სასარგებლოა და საჭირო გათბობა ოთახისა, მაგრამ უგუნური უნდა იყოს კაცი, რომ ამტკიცებდეს, ოთახის გათბობა ერთნაირად საჭიროა დიდსა და ცივს ზამთარშიაცა და ცხელს, პაპანაქება ზაფხულშიაცაო. ძველისა და ახალის ცოლ-ქმრობის შედარებით მე მხოლოდ ის მინდოდა გამერკვია მკითხველისათვის, თუ რა დიდი ზნეობრივი ძალა უნდა ჰქონოდა ძველებურს ოჯახს, უკეთუ ახერხებდა თავის თავად, თავის საკუთარის ღონით დაებადნა და გაემტკიცებინა სიყვარული და პატივის-ცემა ისეთებს-შორის, რომელთაც წინად, არა თუ არ უყვარდათ ერთმანერთი, არამედ ერთად ცხოვრებაც თითქმის სრულიად შემთხვევით მოუხდათ.

და აი სწორედ ეს ძალა-უნარი ძველებურის წეს-წყობილებისა იჩენდა თავს ცხოვრების სხვა გარემოებაშიაც. უეჭველია, რომ იგი წეს-წყობილება ხელს უწყობდა მაშინდელის დროებისთვის კარგის დედების აღზრდას, ისეთის დედებისას, რომელთაც შეეძლოთ და თვიანთ ხელში ეჭირათ კიდეც აღზრდა თავიანთ შვილებისა. თუ სახეში მივიღებთ, რომ განათლება მაშინ საზოგადოდ ძალიან მცირე იყო, ვგონებ, არ შევცდებით, უკეთუ ვიტყვით, რომ მაშინ ყოველს დედაკაცს შეეძლო შეესრულებინა თავისი მოვალეობანი დედისა და შვილების აღმზრდელისა, ვინიცობა რასაკვირველია, იგი დედაკაცი მეტისმეტად დაჩაგრული და ყოვლად უბადრუკი არ იყო.

საოცარი ამბავია, პირველის შეხედვით, ის გარემოება, რომ ბატონ-ყმობის დროს, როცა თავად-აზნაურობას შედარებით საკმაოდ უზრუნველი ცხოვრება ჰქონდა და თავისუფალი დრო, მოცალეობაც არა მცირედი, მწერლობა და განათლება დიდს წარმატებაში არ იყო, მაგრამ, როგორც ვიცით, ეს ამბავი მარტო ჩვენში-კი არ იყო, არამედ ყველგან სხვაგანაც, სადაც-კი ბატონ-ყმობა არსებობდა. გონებრივის წარმატების სიმცირე და ნაკლებულობა საზოგადო კუთვნილებაა ყველგან და ყველა ქვეყანაში იმ ნაირის საზოგადოებურის აგებულებისა, როგორიც არის ბატონ-ყმობა. მაგრამ ამ ჟამად ჩვენთვის საჭირო არ არის ამ გარემოების მიზეზი გავარკვიოთ *) ჩვენთვის სრულიად საკმაოა აღვნიშნოთ ის ნამდვილი ამბავი, რომ პროგრამა განათლებისა ბატონ-ყმობის დროს ძლიერ მცირე იყო და შვილების აღზრდის მიმდევარს დედას არა სდებდა ძალად რთულს საქმესა და ზრუნვასა და ამიტომ არცა სთხოვდა არაფითარს განსაკუთრებულს მომზადებას.

ყველამ კარგად იცის, რა იყო იდეალი მაშინდელის კეთილად აღ-

*) ის კანონი, რომელიც განმარტა და დაამყარა ბოკლმა თავის თხზულებაში „ისტორია ინგლისის ცივილიზაციისა“ მეცნიერების დაბადებისა და აღორძინების შესახებ, ჩემის აზრით, ცოტაოდნად შეკვეცილ, ანუ შესამჩნევად შეცვლილ უნდა იქმნას. დრო და მოცალეობა მიზეზი-კი არ არის გონებრივის წარმატების გაჩენისა, როგორც ჰგონებდა ბოკლი, არამედ ის გარემოება მხოლოდ, რომლის არსებობა უთუოდ საჭიროა ამ წარმატების დაბადებისათვის. ჭეშმარიტი მიზეზი-კი იმის გაჩენისა გონებრივის წარმატების აუცილებელი საჭიროებაა ადამიანისათვის, როცა იგი იბრძვის როგორც თავის ქონებრივის, ისე ზნეობრივის არსებობისათვის.

ლეს. იმანაც აღიარა, რომ ხელნაწერის ასოები სომხურია და ზედ რიცხვი (ასი) რომ აწერია ამ ფურცელს, იმ ნაირად არის დაწერილი, როგორც ძველს დროში იცოდნენ ხოლმე სომ. ხებმა. ტერტერამ ნაწერი თუმცა ვერ წაიკითხა, მაინც 5 მანეთი აძლია წიგნში, მაგრამ ოსებმა ამჯობინეს, ამ წიგნს ჩვენ დიეტოევებთ და ტფილისს გავგზავნითო.

*** „ტფილ. ლისტოკი“ ამბობს, ქალაქში ხმა დადისო, რომ ზოგიერთ ქართველ მემამულეთა და შეძლებულთ გადაუწყვეტეს, გადახადი ვახადოთ ჩვენის შემოსავალის მიხედვით და ეს ფული საკუთრად მოვახმაროთ ქალაქის სასწავლებლებსაო.

*** 10 მაისს, დილის 11 საათზე, ოლგას ქუჩაზე მგზავრებს დატვირთულ ბოლოსკიდგან საფანტით გატენილი თოფი გაუვარდათ. საფანტი მოჰხვდა სამს კაცს, დაშავა ზოგი ფეხში და ზოგიც ხელში, და მოჰკლა ბოლოსკაზე მწოლიარე ძაღლი. დაშავებულნი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს გალიუჩის ბაღკაში უეცრად გარდაიცვალა აკულინა მიხეილის ასული კლიმენტიევისა,

*** ამავე დღეს ბანკის ქუჩაზე ივანოვის სახლში, უეცრად გარდაიცვალა ქვრივი მატრონა კუზმას ასული მაქსიმოვისა. მიცვალებულის გვამი საანატომიო თეატრში გაგზავნეს.

## წვრილი ამბები

— გარიბალდის მთელი გვარეულობის წინააღმდეგ, რომელიც იტალიის საერო გმირის ჩამომავალია, ამ ჟამად სარჩელია აღძრული საგანი სარჩელისა იმ დროს ეკუთნის, როცა 1867 წ. გარიბალდმა რომის დასაპყრობად და პაპის საერო უფლების ჩამოსართმევად გაილაშქრა. ეს ლაშქრობა, როგორც ვიცით, გარიბალდისათვის უბედურად დაბოლავდა მომჩივანნი გარიბალდთა გვარეულობისა ჰოტტარდო ავასტოს მემკვიდრენი არიან, რომელნიც 25 ათასს ფრანკსა და იმის სარგებელს თხოულობენ 1867 წლიდამ მოკიდებული. ეს ფულები გარიბალდზე და იმის ლაშქარზე გაღად დარჩენილა აგოსტოსაგან, რომელიც ლაშქარს სურსათსა და ტანისამოსს აძლევდა თურმე.

— ახირებული სარჩელი აღძრულ ციურიხში. სარჩელი შინაარსით-კი არ არის შესანიშნავი, არამედ იმითი, რომ ჯერაც ვერ გადაუწყვეტიათ, თუ რომელი სახელმწიფოს კანონს მიზეზი ამ სარჩელის გარჩევა. საგანი ამ სარჩელის ატესის ხელ-შეკრულობის დარღვევაა. მშენი პრაისები, რომლებიც შთამომავლობით ინგლისელნი არიან, ხოლო სჯულობით ჯამბაზნი, ერთს ცირკის დირექტორს კულფს უჩივიან. პრაისები აღზრდილნი არიან დანიაში. ხელ შეკრულობა შეუდგენია ერთს აგენტს პარიჟში იმ დროს, როცა პრაისები ფრანკფურტში იყვნენ, ხოლო კულფი ბუდაპეშტში ცხოვრობდა. პრაისებმა კულფის ცირკის სცენაზე თამაშობა დაიწყეს პირველად ბრიუსელში, სარჩელი-კი ციურიხში ატყდა. ამ გვარად ამ ახირებულის სარჩელის გარჩევის დროს ცოტად თუ ბევრად უნდა იხელმძღვანელონ კანონები დანიისა, საფრანგეთისა, ბელგიისა, გერმანიისა, ჰუნგრიისა და შვეიცარიისა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოთა კანონების აზრი გადასწყვეტ საგნის შესახებ ძლიერ სხვადა-სხვაობს.

— იმპერატორმა ვილჰელმმა ორს გერმანელს პოლტს თევდორე ფონტანსა და კლაუს გროტს განსაკუთრებითი საზუქარი დაუნიშნა, თვითეულს მათგანს 3,000 გერმანული მარკა.

— საყურადღებო გამოკვლევა მოუხდენია ამას წინად ერთს ციურიხელს მსწავლულს იმის შესახებ თუ რა სისწრაფით და დაუბრკოლებლად მრავლდება მიკრობები შვეიცარიულს ყველში. ამ მსწავლულის გამოკვლევით ერთს გრამს (გრამი წვენებური მისხალის მეოთხედზე ნაკლებია) ახალს ყველში 90,000-დამ 140,000-მდე მიკრობია თურმე, ხოლო თუ ყველი 70 დღისაა, მაშინ მიკრობის რაოდენობა 800,000-მდე ადის. სხვა უფრო დაბალის ხარის ხის ყველში 5,000,000 მიკრობი უპოვია. ამ ნაირად ამ მსწავლულის გამოანგარიშებით ერთს 300 გრამიან ნაჭერს შვეიცარიულს ყველში სულიერი არსება უფრო მეტია, ვიდრე მთელს დედამიწაზე ადამიანი.

— როგორც შვეიცარიის მთავრობის ოფიციალურის ანგარიშიდამ სჩანს შვეიცარიის უნივერსიტეტებში რუსეთის ქვეშევრდომთ რაოდენობა სტუდენტების ⅓ მეტია თურმე. ყველაზე უფრო მეტი ჟენევაშია და იმის შემდეგ ბერნაში. საყურადღებოა ისიც, რომ რუსის სტუდენტები შვეიცარიაში უფრო სამკურნალო ფაკულტეტებს ეტანებიან.

—

გამოსადეგი ცნობა. როგორც „Journal de medicine“ ამბობს ანანასი ბრონხიტის წამალი ყოფილა და ფრიად უებარი წამალიც. წვრილ-წვრილად დაჭრილს ანანასს უნდა მოაყაროთ შაქარი, ჩააწყოთ ცივს წყალში რომელიც ნელ-ნელა უნდა წამოადუღოთ. წყალი და შაქარი იმდენი უნდა ისხმოთ, რომ დუღილის შემდეგ თხელი წვენი მიიღოთ როცა ასეთს წვენს მიიღებთ, გააცივებთ, პატარა შუშებში გადაასხამთ და დიდის სიფრთხილით თავს დაუცობთ. ბრონხიტით ავადმყოფს დღეში ყავასთან ერთად რვა-რვა ჩაის კოვზი უნდა აძლიოთ, ეს ღონის-ძიება ბრონხიტის წინააღმდეგ საუკეთესო ღონის ძიებაო, ამბობს ზემოხსენებული ჟურნალი.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გადვუხადო გნ. ან. მიხეილის ასულს თუმანიშვილს, რომელისაგანაც ჩემდა რწმუნებულს სკოლას უსასყიდლოდ მოსდის, ეს მეორე წელიწადია, ჟურნალი „ჯეჯილი,“ ამასთანავე ხან-და-ხან უგზავნის სკოლას სხვა-და-სხვა საყმაწვილო წიგნაკებს, ყიდა შეგირდებს ოცი რუსულის წერის რვეული, გადმომცა სამი მანეთი ფულად და სხვა-და-სხვა თესლები სკოლის ბაღისათვის. მადლობას ვუძღვნი აგრეთვე თ. დავით იესეს ძეს თუმანიშვილს, რომელიც უსასყიდლოდ დამითმო თავის ბაღიდამ სამოცამდე სხვა-და-სხვა ხეხილის ნერგი იმავ სკოლის ბაღისათვის. იმედია ზემოხსენებული სკოლის გულ შემატკივარნი შემდეგშიაც არ აარიდებენ თვალს ჩემდა რწმუნებულ ხელთუქნის სკოლას.

მასწავლებელი სკოლისა

თ. რაზიკაშვილი.

## დეპეშა

11 მაისი

სარატოვი. 10 მაისი. გუშინ აქ დიდის ამბით იდღესასწაულეს 300 წლის შესრულების დღეს სარატოვის დაარსებისა. დღესასწაული გამართულ იქმნა ქალაქის მმართველობის მიერ საარხიეო კომისიის მონაწილეობით. პარაკლისის შემდეგ, რომელიც გარდახდილ იქმნა სათეატრო მოედანზე და შემდეგ ჯარების პარადისა, ქალაქის სკოლების მოსწავლეთ მიულოცეს დღესასწაული ქალაქის მმართველობას და მიიღეს მისგან ბრომურები და ხილეულობა. შემდეგ წაკითხულ იქმნა „დვარიანსკი საბრანიაში“ ლექციები, სარატოვის მხრის ისტორიის შესახები. რადიჩევის მუზეუმში სადილი იქმნა გამართული ხელის მოწერით. სადილზე დაესწრო ციხეთა მთავარ-სამმართველოს უფროსი გალკინ-ვრასკი. მილოცვის დეპეშები მიღებულ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, ყაზანის სწავლა-განათლების მზრუნველისაგან და სხვებისაგან. სალამოზე ქალაქი გაჩირაღდნებულ იქმნა. გაიმართა სახალხო სეირნობა და სათეატრო წარმოდგენა უსასყიდლოდ. საბჭომ გარდასწყვიტა: იუბილეის სახსოვრად გაიმართოს სამი უფასო სახალხო წიგნთ-საცავი და აგებულ იქმნას მოედანზე ძეგლი იმპერატორ პეტრე პირველისა.

### პეტერბურგის ბირჟა 7 მაისს

| | მიუღიათ. (მან. კ.) | გაუყიდნიათ. (მან. კ.) | გაუყიდნიათ. (მან. კ.) |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 76 | 6 73 | — „ |
| ტფამოყხის კუპონები | 134½ | 135 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 03 | 1 05 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 242½ | — „ | — „ |
| —მეორისა | 222 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 213 | — „ | 216 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 101 62 | — „ | 101 55 |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### ქიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში ჰვივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გა-

---

ზრდილის ყმაწვილის ქალისა და კაცისა. თუ ყმაწვილ ქალსა და კაცს რიგიანი თავის დაჭერა შეეძლო თავიანთ ტოლ-ამხანაგებში, იცოდნენ წერა-კითხვა, ჯან-ალნი და კარგნი იყვნენ თვალად და ტანად, ზედ-მიწევნით ჰქონდათ შეგნებული წესი და რიგი დროს გატარებისა, სტუმრიანობისა, მცირეოდენი გაგებაცა ჰქონდათ მეურნეობისა, ხოლო ამას გარდა ყმაწვილმა ქალმა ხელ-საქმეც იცოდა, აღზრდა და განათლება სრულიად დამთავრებულ საქმედ მიაჩნდათ. ყოველივე დანარჩენი თვით ცხოვრებას, გამოცდილებას და ბუნებას უნდა შეემატნა მათთვის.

როდესაც წარმატება და განვითარება ადამიანისა იმით-კი არ იზომება, რა სამეცნიერო და სალიტერატურო მომზადება შეუძენია კაცს თავის წარმატებისათვის, არამედ იმით თუ, რამდენად გამოცდილია ცხოვრებაში, რა უნახავს, რის მოწმე და სხვა ამ გვარის თვისებით, მაშინ ამისთანა საქმეში დიდი მნიშვნელობა ეძლევა ხნიერება-წლოვანებას, უფროსობას. ერთად-ერთი მოძღვარი, მასწავლებელი და სკოლა ამისთანა შემთხვევაში არის თვით ცხოვრება და გამოცდილება თითოეულისა. ხოლო გამოცდილება თითოეულისა, რასაკვირველია, მით უფრო დიდია, რაც უფრო დიდია ხანი, რომლის განმავლობაშიაც კაცი იძენდა ამ გამოცდილებას. აი მიზეზი იმისი, რომ ამისთანა შემთხვევაში ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს წლოვანებას, რომ ასეთს ვითარებაში ისეთის განსაკუთრებულის პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობიან მოხუცებულს. უფროსს მეტი ხმა და გავლენა აქვს არა მარტო იმიტომ, რომ ხნიერია, არამედ, უმთავრესად, უფრო იმიტომ, რომ თავის მეტის წლოვანების წყალობით, იგი უფრო ჭკვიანია, უფრო მცოდნეა, გამოცდილი, ვიდრე ყმაწვილი კაცი, რომელიც იმისაგან უნდა სწავლობდეს ჭკუა-გონებას. უფროსი, ხნიერი ცოცხალი სახელმძღვანელოა, მაგალითია, ღირსი წაბაძვისა, ის იდეალია, რომელსაც უნდა ეტანებოდეს მოზარდი თაობა. ამიტომ ცხადია, რომ ასეთს გარემოებაში აღზრდა-სწავლების საქმე დედ-მამის ხელში უნდა ყოფილიყო და იმათაც დიდის წარმატებით შეეძლოთ ამ მოვალეობის შესრულება.

ყოველ ამის გამო ადვილად მისახვედრია ერთი სხვა თვისებაც ძველებურ შეწყობილის საოჯახო აგებულებისა. ის ძლიერი გრძნობა მშობლების პატივის-ცემისა და სიყვარულისა შვილების მხრით იმ ძველს დროში მარტო მორჩილება-კი არ იყო წინაშე ოჯახის უფროსისა, არამედ შედეგი იყო იმისიცა, რომ შვილებს სჯეროდათ უფროსების ზნეობრივი და გონებრივი უკეთესობა და უპირატესობა. ამ სთანა სიყვარულით შვილები ბუნებრივს ხარჯს იხდიდნენ იმათ პატივის-ცემისას, ვინც იყვნენ მათი აღმზრდელნი და მასწავლებელნი და ვისგანაც შეეძლოთ მიეღოთ თავიანთი აღზრდა და შეეძინათ თავიანთი ცოდნა.

რაც უფრო მეტის ძალითა და სიმტკიცით აკავშირებდა ასეთი ერთ მანერთობა ერთისა და იმავე ოჯახის წევრთ, მით უფრო ადვილი იყო აღორძინება იმ ნიადაგისა, რომელზედაც ჩნდებოდა ძლიერი გრძნობა ნათესაობისა და ნათესავთა თითქმის ხაიალდებული სიყვარულისა, ამ გრძნობას ნათესაობისასა და ნათესავთა სიყვარულისას ძველად დიდი და უებელი მნიშვნელობა ჰქონდა და ეს დიდი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. საოჯახო ანდერძნი, მოყვრობა-ნათესაობა და კავშირი ოჯახთა შორის ძველად, როგორც ვიცით, იმდენად ძლიერი, ცხოველი და ფრიად გავრცელებული იყო, რომ, იქნება, ცოტად თუ ბევრად, უშლიდა კიდეც უძველეს დროს თითოეულ ოჯახთა და თითოეულ ცალკე გვართა მტკიცე გაერთიანებას და ერთის საერთო აგებულებისა და ორგანიზმის გაჩენას, ისეთის ორგანიზმისას, რომელიც ერთიანის გრძნობა-სურვილებითა ყოფილიყო გამსჭვალული. მწყობრმა და სისრულე სავსებით დამთავრებულმა ძველმა ოჯახმა, რაკი მიაღწია ამ მიჯნას უკიდურესობისას, გარეშემოიზღუდა თავი და შეკეტა კარი თავის სახლისა. ხოლო ასეთმა გარშემოზღუდვამ და კარჩაკეტილობამ შეაფერხა თავისუფალი ზრდა-წარმატება ერის ცხოვრებისა.

ასეთი იყო ის საზოგადოებური და საოჯახო ვითარებანი, რომლის ზედმოქმედების ქვეშაც იზრდებოდა და მოქმედებდა ქართველი დედა კაცი ძველებურის ტიპისა და აღნაქსისა. ბევრში ეს ტიპი დღევანდელის დედაკაცის ტიპზე მაღლა დავაყენეთ, მაგრამ ეს იმას არა ჰნიშნავს, რომ ძველებურის ქართველის დედაკაცის მდგომარეობა ეხლანდელისათვის მაგალითი უნდა იყოს, ღირსი წაბაძვისა ყოველს დროსა და ხანას თავისი იარაღი და სახსარი აქვს მოქმედებისათვის და, რა თქმა უნდა, უგუნურება იქმნება ჩვენს დროში საომრად გასვლა ტალიანის თოფითა, რომელმაც თავის დროს დაუფასებელი სამსახური გაუწია ქვეყნიერობას. მეორეს მხრით, ძველს ცხოვრებას ბევრს ღირსებასთან მრავალი შესამჩნევი ნაკლულევანება ჰქონდა, ისეთი ნაკლულევანება, რომელიც სრულიად არაფრით არ უდგება ახალს დროებას. ჩემის აზრით, ჭეშმარიტის პუბლიცისტობის მოვალეობაც სწორედ ის არის, რომ ერთხელ და სამუდამოდ აიღოს ხელი წარსულის განურჩეველის ქება-დიდებისაგანაც, კიცხვა-ძაგებისაგანაც. პუბლიცისტმა ყოველთვის ჯეროვანის გარკვევით უნდა დაგვანახვოს, რა იყო, იმის აზრით, წარსულში კარგი, გამოსადეგი მერმისისათვის და რა იყო ავი, არა-საქებური, რომელიც სწორედ იმიტომ რომ ავია, საუკუნოდ უნდა დამარხულ იქმნას ისტორიის არხივებში.

გ. მაიაშვილი

(შემდეგი ი )

მი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან გელდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ.-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

---

# განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 32 ტირაჟში, რომელიც მოხდა 30 აპრილს 1891 წლისას; გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის გირავნობის ფურცელთა.

ძველის კატეგორიისა.

გირავნობის ფურცელნი, გამოცემული 1 იანვრამდე 1881 წლისა 1874 წ. 24 მაისის წესდების ძალით არა ურთიერთობრივის თავდებობით.

100 მან. ღირსებისა.

18 წ. და 7 თთვით.

2 სერიისა № 10.

27½ წ.

2 სერ. №№ 109, 121.
3 სერ. №№ 32, 46, 111, 117, 136.
11—№№ 71, 184, 193, 195, 214, 249, 250, 272, 276, 285.

43½ წ.

6 სერ. № 23.
7—№№ 45, 57, 77, 94, 124, 133, 134, 175, 180, 194, 197, 201, 320, 329, 345, 381.
9—№109.
11—№№ 54, 112, 114.

54½ წ.

1 №—№ 5.
2 №—№№ 12, 15.
3—№№ 43, 88.
5—№№ 12, 36, 43, 153, 184, 200.

500 მან. ღირსებისა.

27½ წ.

2 სერ. №№ 14, 33.
3—№№ 112, 132.

43½ წ.

8—№ 19.

54½ წ.

2—№ 9.
3—№ 26.
6 —№ 5.

1000 მან. ღირსებისა.

27½ წ.

2—№№ 1, 13, 45, 46, 52, 57, 59, 63, 74, 76, 82, 84, 91, 94, 100, 127, 140, 152, 158, 159, 168, 173, 178, 187.
3—№№ 26, 79, 103, 108.

54½ წლით.

2—სერ. №№ 1, 2, 7, 9, 14, 19, 22, 26, 27, 28, 29, 30, 31, 38, 41, 46, 47, 48, 50, 51, 52, 53, 56, 59, 62, 63, 64, 66, 68.

გირავნობის ფურცელნი, გამოცემული 1881 წ. 1 იანვარს შემდეგ 1881 წ. 17 თებერვლის წესდების ძალით ურთიერთობრივის თავდებობით.

100 მ. ღირსებისა.

27½ წ.

2 სერ. №№ 20, 81, 128, 183, 213, 236, 268, 303, 349, 414.
7—№№ 1, 2, 7, 10, 12, 13, 14, 15, 16, 22, 23, 25, 27, 28, 30, 32, 33, 36, 38, 41, 42, 43, 45, 48, 55, 56, 58, 59, 60, 64, 65, 67, 68, 69, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 88, 91, 92, 93, 100, 103, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 115, 116, 118, 119, 122, 126, 127, 128, 130, 131, 136, 137, 138, 139, 140, 144, 145, 146, 147, 148, 151, 157, 158, 168, 174, 176, 182, 187, 192, 194. 201, 205, 206, 215, 222, 227, 229, 238, 239, 240, 246, 249, 255, 258, 260, 270, 282, 290.
18 სერ. №№ 50, 118, 168, 213, 312.
19 სერ. №№ 7, 8, 41, 115, 147, 205, 289, 302, 325, 353, 356, 392, 420, 442, 461, 463, 474, 489, 499, 506.
20 №№ 146, 233, 361, 364.

43½ წ.

1—№№ 20, 26, 44 და 57.
2—№№ 11, 16.
3—№ 107.
5—№ 143.
8—№№ 1, 2, 5, 6, 7, 13, 14, 19, 20, 22, 26, 29, 31, 38, 42, 46, 48, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 63, 64, 65, 66, 67, 69, 72, 75, 77, 78, 79, 82, 86, 87, 88, 90, 91, 93, 96, 98, 106, 107, 109, 111, 112, 119, 120, 126, 127, 138, 141, 143, 145, 147, 149 151, 154, 156, 158, 159, 161, 163, 164, 166, 167, 168, 172, 173, 176, 179, 184, 186, 191, 192, 193, 194, 196, 199, 201, 204, 207, 211, 212, 213, 216, 222, 226, 230, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 242 244, 245, 247, 248, 252, 256, 258, 259, 263, 265, 266, 270, 275, 276, 280, 282, 284. 288, 289, 290, 291, 292, 293, 294, 296, 298, 299, 303, 304, 305, 307, 313, 314, 315, 316, 324, 326, 329, 330, 339, 343, 344, 348, 350, 351, 354, 356, 357, 364, 370.
9 სერ. №№ 21, 28, 54, 55.
17, №№ 14, 16.
19, №№ 3, 7, 10, 11, 12, 15, 18, 20, 22, 25, 27, 36, 37, 38, 40, 41, 43, 44, 45, 50, 52. 56, 61, 68, 69, 70, 71, 73, 79, 80, 83, 87, 91 92.
20 სერ. № 34, 47.

500 მ. ღირს.

27½ წლით.

1 №№ 26, 32, 78, 83.
2 №№ 14, 28, 85, 87.
6 № 3.
7 №№ 2, 3, 7, 10, 12, 16, 17, 20, 22, 27, 34, 35, 36, 37.
14—№ 22.
18—№№ 155, 203, 207, 222, 226, 266 412.
19—№№ 7, 15. 32, 44, 75, 128, 158, 163, 198, 209, 213, 274.
20—№№ 41, 171.
21—№ 30.

43½ წლით.

2—№ 20.
5—№№ 12 და 23.
8—№№ 4, 5, 11, 12, 14, 16, 18, 22, 23, 25, 26, 27, 33, 34, 36, 38, 39, 40. 43, 44, 45, 47, 50. 52, 53, 55, 63, 64, 70.
18—№ 60.
19—№№ 1, 2, 4, 6, 13, 14, 15, 18, 29, 22, 30, 34, 35, 37, 39, 40.

1000 მ. ღირს.

27½ წ.

1—სერ. №№ 12, 72, 98, 102, 116, 136, 153, 154, 160, 190, 195, 196, 268, 280, 288 377, 384.
2—№№ 106, 152, 169, 186, 204, 243, 266, 283, 333, 379, 439, 464, 474, 507, 508, 527, 549, 560, 581, 711, 736, 785 798, 804, 860, 866, 898.
3 №№ 57, 85.
4 №№ 18, 103, 151, 168.
6 № 21.
7 №№ 6, 8, 9, 11, 13, 14, 16, 19, 22, 25, 26, 27, 28, 33, 35, 36, 37, 38, 39, 45, 47, 48, 49, 52, 53, 54, 57, 58, 61, 62, 63, 66, 67, 68, 69, 70, 74, 78, 79, 84, 86, 87, 89, 91, 93, 94, 95, 104, 107, 110, 113, 116, 117, 118, 123, 125, 129, 132, 139, 143, 145, 146, 148, 150, 152, 153, 155, 158, 159, 165, 166, 201, 212, 213, 216, 217, 235, 236, 239, 243, 245, 246, 247, 252, 262, 264, 266, 267, 268, 275, 279, 280, 286, 290, 296, 302, 308, 309, 314, 315, 317, 318, 322, 323, 325, 326, 327, 330, 333, 334, 335, 340, 345.
8—№ 31.
9—№ 62.
11—№№ 42, 55 და 60.
12—№№ 124 და 213.
14—№ 26.
16—№№ 43 და 59.
18—№№ 70, 124, 233, 529, 580, 652.
19—№№ 80, 141, 182, 189, 223, 319, 321, 322, 338, 364, 417, 419, 438, 440, 441, 443, 461, 476, 477, 488, 493, და 521.
20 სერ.—№№ 23, 175, 178, 210 და 335.
21—№ 9.

43½ წლით.

1 სერ. №№ 43, 51, 56, 117, და 127.
2 №№ 7, 19, 24, 28, 35, და 73, 81.
3—№№ 13, 18, 26, 30, 37. 38, 43, 49, 65, 69, 81, 86, 89, 93 და 106.
4—№№ 3, 4, 9, 12, 15, 19, 21, 22, 23, 24, 26, 27, 30, 34, 41, 47, 49, 57, 58, 59, 61, 63, 64, 66, 67, 76, 79, 82, და 85.
5—№№ 62, 78, 84, 90, 91, 92, 101, 102, 113, 115.
6—№ 4.
8—№№ 1, 3, 10, 18, 21, 22, 24, 25, 26, 27, 28, 33, 35, 36, 37, 47, 50, 51, 58, 59, 61, 65, 69, 71, 80, 82, 87, 89, 91, 92, 93, 95, 99, 103, 105, 106, 107, 108, 111, 113, 114, 137, 151, 152, 153, 154, 156, 159, 160, 165, 166, 167, 170 175, 176, 178, 183, 188, 189, 191, 194 195, 197, 198, 200, 201, 204, 205, 207, 210, 211, 214, 215, 219, 221, 222, 225, 230, 231, 233, 234, 238, 241, 242, 244, 247 248, 250, 252, 253, 254, 256 258, 263, 264, 265, 266, 267, 269, 271, 272, 274, 275, 278, 279, 282, 288 და 289.
19—№№ 2, 3, 4, 6, 7, 10, 12, 13, 14, 17, 18, 19, 21, 23, 25, 28, 33, 38, 40, 41, 45, 46 56, 58, 62, 63, 67, 69, 70, 72, 73, 78, 82, 84, 89, 92, 93, 94, 97; 105, 108, 110, 111.

ამ ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცელთა ფულის მიღება შეიძლება: ქ. ტფილისს, ბანკის კასსაში, ს. პეტერბურგსა და ვარშავაში ბ ნ ვაველბერგის საბანკო სახლის კანტორაში, მოსკოვს პოლიაკოვის კანტორაში, და სახელმწიფო ბანკის ყველა კანტორასა და განყოფილებაში

---


ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც-კი მოეპოება ხელ-ნაწერი საბა ორბელიანის ნაწ. „სიბრძნე-სიცრუე“, გამოუგზავნოს ამხანაგობის ხარჯით გამგეობას, შესადარებლად ერთმანეთთან, რათა გამოცემა ხემოსენებულის ნაწერებისა ამხანაგობის ხმიერ განზრახული, სრული იყოს, შესწორებული, შენიშვნებით და სხ. შემდეგ დაბეჭდვისა ხელნაწერები დაუბრუნდებათ პატრონთ ამხანაგობისავე ხარჯით.

ადრესი: Тифлисъ, Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. (5—4)

---

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. (40—39)

---

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

საყმაწვილო სურათებიანი ლექსთა კრებული შ. მღვიმელისა, გამოც. ელ. ტატიშვილის მიერ. სურათები და მორთულობა ამოსჭრა გრ. ტატიშვილმა.

ფასი 30 კაპ.

---

ისყიდება „წერა კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

დ. ერისთავისა

ფასი 50 კაპ.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარ. თ. სახოკიასი. | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი გ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით. | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა სულხან ორბელიანისაგან | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან | 1 | „ |
| სამძლვარი ზეცისა. | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა | „ | 40 |
| სიბრძნე კატონისი | 1 | „ |
| ბრძ... | „ | 30 |
| მოკლე სახელისცვალებელი ფრანგული ენისა. ყდით | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე ყდით. | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა. ყდით | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინინისა ოცდა შვიდი სურათით | 10 | „ |
| Книга Калалаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ известныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна | 3 | „ |
| Матэріалы для русской исторіи, С. Ал. Белокурова | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Белокурова | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. | „ | 25 |


Доз. Цен. Тифлисъ, 11-го Мая 1891 г. Типографія Я. А. Мансветова, на Лорисъ-Меликовск. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.